სსსმ მოსწავლის თანაკლასელთა მხარდაჭერის გაუმჯობესება „მეგობართა წრის“ ფარგლებში

მარიამ ედილაშვილი

მაია ჩოხელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ედილაშვილი

მაია ჩოხელი

18.06.2024“.

აბსტრაქტი

„მეგობართა წრის“ 9 შეხვედრის ფარგლებში გამოვლინდა მზარდი ტენდენცია თანატოლთა მხრიდან სსსმ მოსწავლის მიმართ ემპათიის, მხარდაჭერისა და ურთიერთობის მოტივაციის სიხშირის კუთხით. მხარდამჭერი შეხვედრები ინიცირებული იყო სკოლისა და მშობლის მიერ და მათ უძღვებოდა მკვლევარი - ფასილიტატორი.

მონაწილეთა რაოდენობა შეხვედრებზე მერყეობდა 4-8-ის ფარგლებში. შეხვედრების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა აქტივობის ინიცირების, მხარდაჭერის ინიცირებისა და თვალით კონტაქტის გაზრდილი მაჩვენებელი, შესაბამისად წრის შეხვედრებზე სსსმ მოსწავლის მიმართ შექმნილმა პოზიტიურმა გარემომ გაზარდა სამიზნე მოსწავლის დადებითი სოციალური გამოცდილება, ხელი შეუწყო ასერტულობის, დამოუკიდებელი რეაგირებისა და აქტივობის ინიცირების ზრდას. აღსანიშნავია, რომ გამოვლენილი პოზიტიური ცვლილებები მშობლისა და დამრიგებლის ინტერვიუთა შედეგებმაც გამოკვეთა, რომლის მიხედვითაც მოსწავლე უფრო აქტიურად შედიოდა კომუნიკაციაში თანაკლასელებთან და ჰქონდა სკოლაში სიარულის გაზრდილი მოტივაცია.

ნაშრომი ადასტურებს, რომ „მეგობართა წრის“ ინტერვენცია ეფექტურია სსსმ მოსწავლის სოციალური ინტერაქციის გაუმჯობესებისა და თანატოლთა მხრიდან მხარდამჭერი გარემოს ფორმირებისთვის.

საძიებო სიტყვები:

მეგობარტა წრე, თანატოლთა თანადგომა, სოციალური ინტერაქცია, სსსმ მოსწავლე.

Abstract

The data collected during nine meetings of the Circle of Friends revealed an increased frequency of peer empathy, support and interaction towards the SEN student. The support meetings were initiated by the school and parents and were conducted by the researcher facilitator.

The number of participants in the meetings ranged from 4 to 8. Based on the analysis of the meetings, an increased rate of activity initiation, support initiation, and eye contact were revealed in SEN students. This is attributed to the positive environment created for the SEN student at the meetings of the Circle of Friends. An increased positive social experience of the target student promoted the growth of assertiveness, independent response and activity initiation. The parents and tutor indicated these positive changes. According to their interview, the student was more actively involved in communication with classmates and had increased motivation to attend school.

The paper confirms that the Circle of Friends intervention effectively improves the social interaction of SEN students by fostering a favourable peer environment.

Keywords:

circle of friends, peer support, social interaction, special educational needs student.

მადლობა

გვინდა მადლობა გადავუხადოთ სამეცნიერო ხელმძღვანელს ნინო გოგიჩაძეს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში აქტიურ დახმარებას გვიწევდა და რჩევებითა და რეკომენდაციებით კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვაში გვეხმარებოდა. ასევე მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ სკოლას, მოსწავლესა და მის თანაკლასელებს დროის გამოყოფისა და პროცესის მიმდინარეობისას გაწეული დახმარებისთვის.